ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 იანვარი, შაბათი, 1990 წ.
№ 13 (10 182) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ჩემპიონატი წყალში ხტომაში

თბილისში, ვაკის საცურაო აუზში მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონატი წყალში ხტომაში, რომელშიც მასპინძელთა გარდა მონაწილეობენ აჭარისა და



ვახტანგ ბიჭაშვილი

ქუთაისის წარმომადგენლები. ასპარეზობის პირველ და მეორე დღეს გაიმართა 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ქალთა და ვაჟთა ხტომები.
ქალთა შორის უძლიერესი იყო თბილისელი ინგა ბანდური („შევარდენი"), ხოლო ვაჟებში

ინგა ბანდური

უველას აჯობა მისმა თანაგუნდელმა ვახტანგ ბიჭაშვილმა.
გუშინ შეჯიბრებაში ჩაებნენ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან მოასპარეზენი.

ავთანდილ გურასაშვილის ფოტოები.

ბელიც უნდა გწყალობდეს

კანბერა. ჩოგბურთელთა ნებისმიერ ტურნირში წარმატებას რომ მიაღწიო, ცოტა ბედიც უნდა გწყალობდეს, ლეილა მესხს კი კენჭისყრა ყოველწლიურად ახალ-ახალ სიურპრიზებს სთავაზობს. შარშან, მაგალითად, „როლან გაროსის" ტურნირზე კარგი სტარტის შემდეგ იგი მსოფლიოს № I ჩოგბურთელს, დასავლეთგერმანელ შტეფი გრაფს შეხვდა და... ცხადია, გამოეთიშა ასპარეზობას.

იგივე ბედი ეწია ჩვენს ჩოგბურთელს ავსტრალიის ღია ჩემპიონატში, რომლის პირველი-ორი წრე წარმატებით განვლო, მესამეში კი, ისევ და ისევ შტეფი გრაფს შეხვდა. პირველ პარტიაში ქართველმა ჩოგბურთელმა ტოლი არ დაუდო მეტოქეს და დამარცხდა საპატიო ანგარიშით — 4:6. მაგრამ მეორე პარტიისთვის ძალა აღარ ეყო და შედარებით იოლად დათმო იგი — 1:6.

მეორე წრის შემდეგ ასპარეზობას გამოეთიშნენ საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერები — ანდრეი ჩესნოკოვი და ნატალია ზვერევა. ჩესნოკოვი დამარცხდა ავსტრალიელ მარკ გეფლფორდთან — 3:6, 2:6, 3:7, ზვერევა კი ნაკლებადცნობილ ბელგიელთან სანდრა ვანდერფენთან — 3:6, 1:6. ეს მარცხი მით უფრო გაუგებარია, რომ ზვერევამ მიმდინარე სეზონში ავსტრალიის კორტებზე ზედიზედ ორი ტურნირი მოიგო და ყველა მეტოქეს გაუსწორო როგორც დაგროვილი ქულებით, ისე პრემიების ოდენობით (75 ათასი დოლარი).

მომდევნო წრეში თამაშის უფლება მოიპოვეს ფავორიტებმა: ბორის ბეკერმა (გფრ), მათს ვილანდერმა, სტეფან ედბერგმა (ორივე — შვეცია), მილოსლავ მეჩირკმა (ჩეხოსლოვაკია), გაბრიელა საბატინიმ (არგენტინა) და სხვ.

გუშინ საღამოთი მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ლეილა მესხისა და ნატალია მედვედიევას წყვილმა კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია წინ — დაამარცხა ჟიული ელარ (საფრანგეთი) — ანდრეა ლინდის (აშშ) დუეტი 6:1, 6:3.

ჟურნალისტთა საკავშირო სემინარზე

საბჭოთა სპორტული ჟურნალისტიკის პრობლემებზე, მისი შემდგომი განვითარების გზებზე იყო სჯა-ბაასი ორდღიან საკავშირო სემინარზე, რომელიც კიევში გაიმართა. სემინარის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. კოზლოვსკი, უკრაინის სპორტსახკომის თავმჯდომარე მ. ბაკა, სსრ კავშირის სპორტული ჟურნალისტიკის ფედერაციის თავმჯდომარე, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" მთავარი რედაქტორი ვ. კუდრიავცევი.

პირველივე გამოსვლას ცხოველი დისკუსია მოჰყვა. განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მსჯელობამ საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში გარდაქმნის ახალი მომენტების გაშუქებისას, კერძოდ, სახალხო სპორტის პროპაგანდაში სპორტული პრესის როლი და ადგილი. ითქვა ჟურნალისტთა პასუხისმგებლობის შესახებ მასალების მომზადებისას, რომლებიც ასახავენ ჩვენში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას.

სემინარის მონაწილეებმა განიხილეს სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის დებულების წესდება, რომელშიც შეიტანეს კონკრეტული შესწორებები.

სემინარის მჭიდრო პროგრამაში იყო, აგრეთვე, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის VII სპარტაკიადის მსაჯთა მთავარი კოლეგიის წარმომადგენლებთან შეხვედრა. ჟურნალისტებს მის ორგანიზატორებთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება ჰქონდათ.

ელვა-ინფორმაცია

ტოკიო. აქ დამთავრებულ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში 65 კგ წონის კატეგორიამდე მეჭიდავეთა შორის პირველი ადგილი დაიკავა თბილისელმა გურამ ბოდებაძემ.

ნუთუ დრო აღარ დადგა?

ამას წინათ თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც გამოთქმული იყო სურვილი გაზეთ „ლელოს" ყოველკვირეული საფეხბურთო დამატების გამოცემის თაობაზე. იგი ფართოდ გააშუქებდა როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო და საერთაშორისო ფეხბურთს. საფეხბურთო დამატება ხელს შეუწყობს საჭირო ინფორმაციის სრულყოფას და, საერთოდ, ფეხბურთის განვითარებას.

დროა ამ საქმეს საშველი დაადგეს!

ნესტორ ჩხატარაშვილი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი; **ილია დათუნაშვილი,** სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე; **გიორგი გაქანიძე,** „შევარდენის" ფეხბურთის სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი; **თენგიზ კუბლაშვილი,** „შევარდენის" ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი; **ზოთა ხანიაშვილი,** „შევარდენის" ფეხბურთის სამმართველოს უფროსი-ინსტრუქტორი.

თბილისის დინამოელები შვეიცარიაში

თბილისს „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივი, როგორც ცნობილია, წინასასეზონო მზადების პროგრამით ამჟამად უცხოეთში იმყოფება. დინამოელები საფრანგეთში ჩატარებული ორი მატჩის შემდეგ (ტულუზაში „რრდეზთან" — 1:1 და პარიზში ალჟირის ნაკრებთან — 2:1) გაემგზავრნენ შვეიცარიაში, სადაც ჟენევის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ მინიფეხბურთში.

თბილისის დინამოელებმა წარმატებას მიაღწიეს მეტოქეებთან, რომლებსაც მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი აქვთ. თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 6:2 (2:0) დაამარცხეს ბელგრადის „პარტიზანი", შემდეგ კი პორტუგალიის ქალაქ პორტოს „ბოავისტა" — 5:2 (1:1). განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თემურ ქეცბაიამ, რომელმაც თითოეულ თამაშში 3-3 ბურთი გაიტანა.

ასევე ორ-ორი გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთის ცნობილმა კლუბმა „ბორდომ", რომელმაც დაამარცხა „ბოავისტა" — 5:2 და ჟენევის „სერვეტი" — 3:2.

საქართველოს ჩემპიონატი მძლეოსნობაში

ძნელი გზის დასაწყისთან





ძნელი წარმოსადგენია ჩვენს მძლეოსანთა შეჯიბრებაზე უფრო კონტრასტული ასპარეზობა, ასეთ დაპირისპირებას, ცხადია, მონაწილეთა შედეგები განაპირობებს. ყველა ტურნირი ამის მაგალითია, მათ შორის საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი, რომელიც ორიოდე დღის წინ დამთავრდა საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში.

ბოლო ხანს დიდი ყურადღება ექცევა იმას, რომ საქართველოს მძლეოსანთა ჩემპიონატი მართლაც იყოს რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენს მძლეოსნობაში, რომელიც ახლა უკვე ალტერნატივის წინაშე დგას — მეტი დალმასვლა აღარ შეიძლება. მთელი ჩვენი რეზერვის სრულად წარმოჩენით რეალურად უნდა შეფასდეს დღევანდელი სიტუაცია, რათა იგი გახდეს ათვლის წერტილი მომავალი მუშაობისთვის. ხოლო იმაზე ლაპარაკი, როგორ უნდა ვუფრთხილდებოდეთ რესპუბლიკის ჩემპიონატის პრესტიჟს, საჭიროდაც აღარ მიგვაჩნია.

ზემოხსენებულ შეჯიბრებაზე ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო — სამდღიან ტურნირში საქართველოს ყველა საუკეთესო მძლეოსანი გამოვიდა მცირე გამონაკლისის გარდა. მაია აზარაშვილი, მას შემდეგ, რაც დედა გახდა, ეს-ესაა შეუდგა ვარჯიშს, ხოლო ოლეგ სტრიჟაკოვი საკავშირო ნაკრებშია მიწვეული. მოკლედ, შეიქმნა შესაბამისი პირობა მდგომარეობის საღად შეფასებისთვის.

არ იფიქროთ რომ მძლეოსნობის სასახლეში რაიმე უცხო სანახაობა იყო მოსალოდნელი, ჩვენი მძლეოსნობის ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა ისედაც იციან თავისი „მეურნეობის" ავ-კარგი, ოღონდ მისი მთლიანობაში პერიოდულად აღქმა მაინც აუცილებლად საჭიროა (ჩემპიონატებიც ხომ ძირითადად ამისთვის ტარდება).

ვიდრე ჩემპიონატის დონეზე ვილაპარაკებთ, დასაწყისში უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი, მთლიანად, საკმაოდ დაბალი იყო იმ მიზნებისათვის, რომლებიც ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობას დაუსახავს, ამით გვინდა მათი ამოცანის სირთულეს გავუსვათ ხაზი. მძლეოსნობის განვითარების საკავშირო სტრუქტურის ჩვენში შეუცვლელად გავრცელებამ, აგრეთვე საკუთრივ რესპუბლიკაში დაშვებულმა შეცდომებმა მოუქნელი და უუნარო გახადა ჩვენი მძლეოსნობის საკმაოდ დიდი „სხეული". მოკლედ, სტრუქტურა — დიდია, შედეგი — მცირე. სპორტსმენთა შერჩევის მექანიკურმა სისტემამ იქნებ იქ გაამართლოს (და ზოგჯერ ამართლებს კიდეც), სადაც უამრავი ბავშვი აკითხავს მძლეოსნობას — ასეთი უბრალო, მფლანგველური (და იქნებ სასტიკი) მიდგომის ხარჯზეც კი მწვრთნელს მაინც ხელთ შერჩება პერსპექტიული მოზარდები. ჩვენთან კი, ალბათ, უფრო „რბილი" მიდგომაა საჭირო, ალბათ, ასე ვთქვათ, მეტი პროფესიონალიზმი. დიდი დ ფუჭი მძლეოსნური მეურნეობა არ ფრად გვარგია...

ბოლო პერიოდში ჩვენს, მძლეოსნობაში გადადგმული ნაბიჯებიც ამ მიზანს ისახავს. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რამდენად ეფექტუ-

იხ. მე.2 გვ.

სურათებზე: (მარცხნიდან): ფინალური გარბენი 60 მ თარჯრბენში; მარჯვნივ — სტარტი ორღის 800 მეტრზე მორბენალმა ვაჟებმა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ძნელი გზის დასაწყისთან

(დასასრული)

რნი იქნებიან ისინი, მაგრამ ძალიან გვინდა, რომ მონაწილეთა ერთი ჯგუფის კარგი გამოსვლა რესპუბლიკის ზამთრის ჩემპიონატზე ამ მიზეზების გამო იყოს (თუმცა კი ჯისაუბრეთ შეჯიბრების საერთო დონეზე, მაგრამ ცალკეულ მონაწილეებს ნამდვილად ვერ დავემდურებით). იშვიათად იყო, რომ ზამთრის რესპუბლიკურ პირველობებში 5 მონაწილეს შეესრულებინა სპორტის ოსტატის ნორმატივი... სოხუმელი ბირთვის მკვრელი ტარიელ ბიწაძე (მწვრთნელი თამაზ ჭედია) ქვეყნის ნაკრების წევრია და საქართველოს ჩემპიონატზე მას, ცხადია, ტოლი არ გამოუჩნდა. შედეგიც, სპორტული სეზონის დასაწყისის პირობაზე, კარგი ჰქონდა — 18 მ და 55 სმ. უაღრესად შეუპოვარი გამოდგა გარბენი 60 მ თარჯრბენში, სადაც ორმა მონაწილემ აჩვენა სპორტის ოსტატის ნორმატივი. მაღალი შედეგით გაიმარჯვა გელა ვეშაპიძემ (მწვრთნელი ევგენი საპრონოვი) — 7,92, ვიაჩესლავ ვასილიევი (ანატოლი ანდრეევი) მეორე იყო 8,00. ძალზე კარგად გაირბინა 60 მეტრი თამარ შანიძემ (ავთანდილ ბერიძე) —7,45.



მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატი დახურულ სარბიელზე ჩატარდა, რამდენიმე სახეობაში, კერძოდ, ტყორცნაში, მონაწილეები ღია ცის ქვეშ გამოვიდნენ. მტყორცნელები და მათი მწვრთნელები ამით კმაყოფილნი დარჩნენ და რამდენიმემ საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა, მაგალითად, იოსებ შავერდაშვილმა (მწვრთნელი ომარ ოდიშვილი) უროს ტყორცნაში — 70,96 მ.

აღნიშნულ მონაწილეთა გარდა გვინდა აქ მოვიყვანოთ 16 წლის აიდა ტოროსიანის შედეგი 60 მ რბენაში — 7,61, ნინო ონაშვილისა — ბადროს ტყორცნაში — 52,10 მ. სიგრძეზე მხტომელმა დიმიტრი ანტონოვმა 60 მეტრზე რბენაში სპრინტერებს აჯობა — 6,89.

ყველაფერი ეს, ჩემპიონატის, ასე ვთქვათ, ნაღები გახლდათ და რომ არ მოვუყრუოთ ჩვენს ზემოთქმულ მტკიცებას, ისიც ვახსენოთ, რომ ბევრ რიგ დისციპლინებში შედეგები უაღრესად დაბალი იყო, ორიოდე სახეობაში კი ასპარეზობა არც გამართულა. შეჯიბრების კიდევ ერთი შტრიხი — 5 კმ-ზე სპორტულ სიარულში უძლიერესი იყო 42 წლის (!) ერმილო ურუშაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი.

ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს რამდენად დიდი, მიზანმიმართული მუშაობაა საჭირო ჩვენს მძლეოსნობაში.

გიორგი პავლიაშვილი.

ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ᲙᲕᲐᲠᲢᲘᲡᲚᲐᲒᲔᲚᲘ

ქალები. 60 მ. 1. თ. შანიძე — 7,45; 2. ა. ტოროსიანი — 7,61; 3. დ. ხუბაშვილი (სამივე — „შევარდენი“) — 7,70.

200 მ. 1. შანიძე — 24,52; 2. ტოროსიანი — 25,18; 3. მ. იანტბელიძე („მართვე“) — 26,52.

400 მ. 1. მ. ხიდეშელი („დინამო“) — 57,51; 2. ტ. ჩორგოლაშვილი — 1.04,15; 3. ო. მალეევა (ორივე — „მართვე“) — 1.08,14.

800 მ. ი. გრიგორიანცი („შევარდენი“) — 2.36,10.

1500 მ. ე. კობალაძე („მართვე“) — 5.12,13.

60 მ თარჯრბენი. 1. ქ. ბენდელიანი — 9,54; 2. ს. ევდოკიმოვა (ორივე — „მართვე“) — 9,47 (გარბენში); 3. დ. ქავთარაძე („შევარდენი“) — 9,68.

სიმაღლე. 1. მ. ნიკურაძე — 170 სმ; 2. ნ. ვერშინინა (ორივე — „შევარდენი“) — 160; 3. ლ. ბურდული („მართვე“) — 150.

სიგრძე. 1. ს. მედვედევა („შევარდენი“) — 5,24 მ.; 2. ი. მარცვალაძე — 5,09 მ; 3. ი. მურჯიკნელი (ორივე — „მართვე“) — 4,80 მ.

ბირთვი. 1. ე. ურუსოვა — 15,64 მ; 2. ლ. გელაშვილი — 13,54; 3. მ. წიქარიშვილი (სამივე — „შევარდენი“) — 12,92.

შუბი. 1. მ. პატარაია („შევარდენი“) — 45,56 მ; 2. ტ. პიკალოვა („მართვე“) — 40,80; 3. მ. გიგუაშვილი („შევარდენი“) —40,70.

ბადრო. 1. ნ. ონაშვილი —52,10 მ; 2. ლ. გელაშვილი — 47,40. 3. ლ. გაგლოშვილი („შევარდენი“)— 39,00.

ჯავუები. 60 მ. 1. დ. ანტონოვი („დინამო“) — 6,89; 2. ბ. აღამერიანი („შევარდენი“) — 6,90; 3. ზ. ყიფიანი („დინამო“) — 6,97.

200 მ. 1. აღამერიანი — 22,67; 2. ო. ანდრეევი („დინამო“) — 23,18; 3. ვ. ბორისოვი — 23,27.

400 მ. 1. ვ. ბორისოვი — 51,02; 2. ა. რაიკოვი (ორივე — „შევარდენი“) — 52,62; 3. ზ. ხიტირი („მართვე“) — 52,66.

800 მ. 1. ზ. ხიტირი — 1.59,71; 2. რაიკოვი — 2.05,10; 3. ზ. ჯაჰვლიანი („მართვე“) — 2.06,05.

1000 მ. 1. ხიტირი — 2.41,19; 2. ვ. დომბროვსკი — 2.43,53; 3. ე. ნოზაძე (ორივე — „შევარდენი“) —2.49,09.

1500 მ. 1. დ. ცომარტოვი („შევარდენი“) 4.11,49; 2. ვ. კუნიცინი (ასკ) — 4.12,20, 3. ა. მამიკონიანი („შევარდენი“) — 4.19,57. 4.19,57.

3000 მ. 1. ცომარტოვი 8.41, 84; 2. კუნიცინი — 8.45,61; 3. შ. ნადირაძე („შევარდენი“) — 8.47,66.

60 მ. თარჯრბენი. 1. გ. ვეშაპიძე — 7,92; 2. ვ. ვასილიევი (ორივე — „შევარდენი“) — 8,00, 3. ი. ივანოვი („დინამო“) — 8,17.

2000 მ წინაღობებით. 1. ცომარტოვი — 5.49,83; 2. ნადირაძე — 5.49,92; 3. მამიკონიანი — 6,20.

5 კმ სპორტული სიარული. 1. ე. ურუშაძე — 22,58,06; 2. ე. ბაიაძე — 23.37,42; 3. ნ. ლომაძე (სამივე — „შევარდენი“)—23.40,03.

სტომა. სიგრძე. 1. დ. ანტონოვი („დინამო“) — 721 სმ; 2. დ. ჩუკანოვი — 692; 3. მ. მაზახიმოღლი (ორივე — „შევარდენი“)— 690.

სიმაღლე. 1. ვ. მინაკოვი — 210 სმ; 2. ა. ტრიოხგლაზოვი — 200; 3. გ. კენჭიაშვილი (სამივე — „შევარდენი“) — 185.

სამხტომი. 1. ლ. იაბჩენკო — 14,67 მ; 2. მაზახიმ-ოღლი — 14,56; 3. ს. მეარაყაშვილი („მართვე“) — 14,25.

ბირთვი. 1. ტ. ბიწაძე („დინამო“) — 18,55 მ; 2. გ. უშიკიშვილი („შევარდენი“) — 16,35; 3. მ. ყურაშვილი („დინამო“) — 16,08.

ბადრო. 1. ს. დევიატკინი („დინამო“) — 49,32 მ; 2. მ. ერქომაიშვილი — 47,60: 3. მ. მესხი (ორივე—„შევარდენი“) — 44,60.



შუბი. 1. ა. მატიაშვილი — 61,48 მ; 2. ბ. ვარდანიძე — 58,00; 3. ი. პატარაშვილი (სამივე — „შევარდენი“) — 57,66.

ურო. 1. ი. შავერდაშვილი — 70,96 მ; 2. ა. ტალიკიშვილი — 63,22; 3. ლ. ჩიტაიშვილი (სამივე — „შევარდენი“) — 62,14.

ბუნდური. 1. „შევარდენი-I“ — 22670 ქულა; 2. „შევარდენი-II“ — 15430; 3. „მართვე“ — 13500; 4. „დინამო“ — 8173; 5. ასკ—1197.

• • •

სურათებზე: 3000 მეტრზე მორბენლები დისტანციაზე; ჯაჭვთა უინლური გარბენი 60 მ თარჯრბენში. მარჯვნიდან პირველი — გამარჯვებული გელა ვეშაპიძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

„ნიკრი—მას“

ᲐᲠᲐᲕᲘᲜ იცის, საიდან გაჩნდა ეს სახელი. რუსულად სიხარულიძემაც დაადასტურა, რომ სანამ მასწავლებლის პასპორტში არ ჩაიხედა, დარწმუნებული იყო რომ გაბრიაძეს „ნიკრი“ ერქვა და... საერთოდ „ნიკრი-მასზე“ კარგი მწვრთნელი მას არასდროს შეხვედრია.

მართლაც და, გაბრიაძე საოცრად გულმოდგინე, ენერგიული და დაკვირვებული პედაგოგი. და რაც ძალზე სასიამოვნოა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი დღესაც არ კარგავს ამ თვისებებს. შვიდ ათეულს მოღწეული ქალი კვლავინდებურად სულ იმის ზრუნვაშია ნიჭიერი თაობა, ახალი ოსტატები გაუზარდოს ქართულ ტანვარჯიშს.

...ანგელინა გაბრიაძე სპორტში 14 წლისა მოვიდა. დღეს ეს ასაკი დამწყები მოვარჯიშისათვის, ცხადია, დაგვიანებულია. მშობლიურ ქუთაისში, სკოლის დარბაზში დგამდნენ მასთან ერთად პირველ ნაბიჯებს ტანვარჯიშში უზომოდ შეყვარებული თანაკლასელები — ლილი ჯიმკარიანი, ეკატერინე აფრიდონიძე, თამარ კობოსნიძე, თინა ბოჭორიშვლი. შემდგომში მათ ბევრჯერ მოუწიათ ქალაქის სპორტული ღირსების დაცვა.

1939 წელს გაბრიაძე და მისი მეგობრები თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში ჩაირიცხნენ. ისინი ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ვარჯიშობდნენ გამოცდილ სპეციალისტებთან არჩილ ბაქრაძესთან და კოკა მეიფარიანთან. მალე ნიჭიერი გოგონები ა. გაბრიაძე, ლ. ჯიმკარიანი და თ. კობოსნიძე საქართველოს ნაკრებში ჩარიცხეს, სადაც მათთან ერთად ვარჯიშობდნენ თბილისელები თინა ქოიავა, იულია ფარეშაშვილი, ოლგა კლიმჩუკი, ნატალია გლუშკოვა, მწვრთნელად ქალთა ნაკრებს გრიგოლ მამარდაშვილი ჰყავდა, ვაჟებს კი თვით გიორგი ეგნატაშვილი ავარჯიშებდა. იმხანად იქ მეცადინეობდა ქართული ტანვარჯიშის მთელი თანავარსკვლავედი — ალექსანდრე ჯორჯაძე, გიორგი ბაბილოძე, პავლე რომანიშვილი, ნიკოლოზ თაყაიშვილი, კოტე ზაალიშვილი და სხვები.

სწორედ მათ მოუხდათ რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა 1939 წელს კიევში გამართულ ქვეყნის ჩემპიონატში, საიდანაც ანგელინა გაბრიაძე სპორტის ოსტატად დაბრუნდა. ეს საპატიო წოდება მოიპოვეს მისმა თანაგუნდელებმაც — ქოიავამ, ჯიმკარიანმა, კობოსნიძემ, ფარეშაშვილმა და მიქელაძემ. სწორედ ისინი იყვნენ პირველი ქართველი სპორტის ოსტატები ტანვარჯიშში. შემდგომში ანგელინა გაბრიაძე რამდენჯერმე გახდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პრიზიორი. ა. გაბრიაძე იყო აგრეთვე 1939 წლის ფიზკულტურელთა საკავშირო პარადის მონაწილე. იგი წითელ მოედანზე გამოდიოდა რომანიშვილთან, თაყაიშვილთან და სხვებთან ერთად —ექვსმეტრიან სიმაღლეზე დადგმულ ღერძზე ასრულებდა რთულ ვარჯიშს. პარადის მონაწილეთა ერთი ჯგუფი, კრემლში მიიწვიეს. მათ შორის ანგელინაც იყო...

ფიზკულტურის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1940 წელს, გაბრიაძემ მუშაობა დაიწყო მწვრთნელ-მასწავლებლად ოზურგეთის ბავშვთა სპორტსკოლაში, ომის დამთავრების შემდეგ კი მისი ოჯახი (მეუღლე გივი ურუშაძე ძველი ფეხბურთელი გახლდათ, წლების მახლილზე სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საბჭოს ხელმძღვანელობდა აჭარაში) ბათუმში გადავიდა საცხოვრებლად. აქ ანგელინამ ტანვარჯიშის მწვრთნელად განაგრძო მუშაობა ადგილობრივ სპორტსკოლაში, პარალელურად სწავლობდა ბათუმის პედინსტიტუტში ფიზიკურდიდის ფაკულტეტზე და უფროსი მასწავლებლის გრიგოლ ლეჟავას დაქირავებული თხოვნით, თვითონვე შეუდგა ვარჯიშს. ბარე ათი წლის შესვენების შემდეგ ა. გაბრიაძემ აღიდგინა სპორტული ფორმა და ღირსეულად დაიცვა პედინსტიტუტის სახელი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადაზე. იგი პრიზიორი გახდა პირად შეჯიბრებაშიც და გუნდურ ტურნირშიც. მის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღოდა მწვრთნელს გივი კოზმოვსაც.

1952 წელს თბილისში რესპუბლიკის მორიგი პირველობა გაიმართა. მონაწილეთა შორის იყო 32 წლის ანგელინა გაბრიაძეც. ეს მისი ბოლო შეჯიბრება გახლდათ.

ქალბატონი ანგელინა მთლიანად გადაერთო საწვრთნელ სამუშაოზე. მრავალი სპორტის ოსტატი გაზარდა ღვაწლმოსილმა მწვრთნელმა: ლია ხაბურზანია, ნანული ხაჰაპურიძე, ქეთო ფანცხავა, ალა დიმოვა, ქეთინო გოგიჩაიშვილი, ნატო ბერძენიშვილი, ირინე ქორიძე... მათგან უმეტესობა საქართველოს ნაკრების წევრი, რესპუბლიკის ჩემპიონი თუ პრიზიორი გახდა.

ასე იწყება დიდი ტანვარჯიში.

თამაზ ჭეიშვილის ფოტო.

მაგრამ ა. გაბრიაძის ყველაზე საამაყო მოწაფე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რუსუდან სიხარულიძეა — სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, ვარნის (ბულგარეთი) მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონი გუნდურ ტურნირში და ბრინჯაოს პრიზიორი. ა. გაბრიაძე იყო აგრეთვე 1939 წლის ფიზკულტურელთა საკავშირო პარადის მონაწილე. იგი წითელ მოედანზე გამოდიოდა რომანიშვილთან, თაყაიშვილთან და სხვებთან ერთად —ექვსმეტრიან სიმაღლეზე დადგმულ ღერძზე ასრულებდა რთულ ვარჯიშს. პარადის მონაწილეთა ერთი ჯგუფი, კრემლში მიიწვიეს. მათ შორის ანგელინაც იყო...

ფიზკულტურის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1940 წელს, გაბრიაძემ მუშაობა დაიწყო მწვრთნელ-მასწავლებლად ოზურგეთის ბავშვთა სპორტსკოლაში, ომის დამთავრების შემდეგ კი მისი ოჯახი (მეუღლე გივი ურუშაძე ძველი ფეხბურთელი გახლდათ, წლების მახლილზე სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საბჭოს ხელმძღვანელობდა აჭარაში) ბათუმში გადავიდა საცხოვრებლად. აქ ანგელინამ ტანვარჯიშის მწვრთნელად განაგრძო მუშაობა ადგილობრივ სპორტსკოლაში, პარალელურად სწავლობდა ბათუმის პედინსტიტუტში ფიზიკურდიდის ფაკულტეტზე და უფროსი მასწავლებლის გრიგოლ ლეჟავას დაქირავებული თხოვნით, თვითონვე შეუდგა ვარჯიშს. ბარე ათი წლის შესვენების შემდეგ ა. გაბრიაძემ აღიდგინა სპორტული ფორმა და ღირსეულად დაიცვა პედინსტიტუტის სახელი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადაზე. იგი

ასე იწყება დიდი ტანვარჯიში.

თამაზ ჭეიშვილის ფოტო.

საკავშირო ნაკრებში. ამაში მასზე შეძიყვანეს. მაგრამ ჩემთვის ის დღე დიდი გაკვეთილი იყო — ამის შემდეგ ასპარეზობის დროს სულ ჩვენი გულშემატკივრები მედგა თვალწინ. საერთოდ, „ნიკრიმას“ საოცრად გულღია, საზოგადოების მოყვარული და მხიარული ხასიათისაა, მის ირგვლივ მუდამ ლაღობებიან ნაცნობ-მეგობრებს, ამასთან, მეტად ყურადღებიანიცაა, ემოციური. როდესაც დვირზე ვვარჯიშობდი ხოლმე, იგი თან მომყვებოდა თავიდან ბოლომდე... თუ მას უხარია რაიმე — გულწრფელად უხარია, თუ სწყინს რაიმე — მართლაც სწყინს. მახსოვს, კარგა ხანს ვერ ვაკეთებდი უკუმალაყს ბრუნვით — მეშინოდა. ჰოდა, ნიკრიმ ეშმაკობას მიმართა. მორიგ ვარჯიშზე მისულს ისეთი სევდიანი თვალებით შემომხედა, რომ მეტი არ შეიძლებოდა. რა მოგვიდათ, „ნიკრი-მას“?.. რა და, ჩვენი სავარჯიშო ლეიბები წაიღეს ცირკში — რაღაც ჭიდაობას ატარებენ! ნუ გარდობთ, „ნიკრი-მას“, გავბედავ ულეიბოდ! გამოვქანდი და შევასრულე კიდეც. თვალები გაუბრწყინდა, აი იცოდა რა ექნა. ბოლოს მივიდა დარბაზის საკუჭნაოსთან და... „წაღებული“ ლეიბები გამოათრია: „აუ, აგერ არ ყოფილა!“ მაგონდება კიდევ ერთი ამბავი, მის გულჩვილობაზე რომ მეტყველებს. ვარნაში ვიყავით მსოფლიოს ჩემპიონატზე. ჩვენი გუნდის მწვრთნელები ლარისა ლატინინა და პოლინა ასტახოვა გვახლდნენ, გაბრიაძე კი... ტურისტთა ჯგუფში იყო. გუნდური ჩემპიონები გავხდით. მაყურებლებში ნიკრი შევამჩნიე, სიხარულის ცრემლი მოსდგომოდა თვალებზე. არც გამკვირვებია. მეორე დღეს ბრინჯაოს მედალიც მოვიპოვე თავისუფალ ვარჯიშში და საპატიო კვარცხლბეკზე ავედი. ვეცქირები დარბაზში, ვხედავ ნიკრის, მიკვირს, ცრემლი რომ აღარ უბრწყინავს თვალებზე. „რატომ არ ტიროდი-მეთქი“? — შევეკითხე, „მე პირველი ადგილი მინდოდა შენთვის, და გულს სულ სხვა ცრემლები მიხრჩობდაო!“

ასეთია „ნიკრი-მას“ — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ანგელინა გაბრიაძე, ბათუმის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი-მეთოდისტი, შვიდ ათეულს მიღწეული ქალი, რომელსაც, გვჯერა, ტანვარჯიშში ჯერ კიდევ არ უთქვამს მწვრთნელის საბოლოო სიტყვა.

ოთარ ნოზაძე.

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘᲚᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐᲨᲘ

ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐᲨᲘ გაიმართა გოგონათა საკავშირო ტურნირი ფრენბურთში 1974-1975 წლებში დაბადებულთა შორის. იგი მოაწყო პროფკავშირების „შევარდენის“ ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების აფხაზეთის საოლქო საბჭომ და აფხაზეთის ასსრ სახალხო განათლების სამინისტრომ.

ტურნირში გაიმარჯვა ოდესის გუნდმა, რომელმაც მოაგროვა 10 ქულა. ამდენივე ქულა მოაგროვეს სოხუმელებმა, მაგრამ მათ პირად შეხვედრაში წააგეს ოდესელებთან და ამიტომ მეორე ადგილს დასჯერდნენ. მესამე ადგილი დაიკავეს ქუთაისელმა ფრენბურთელებმა.

თენგიზ პაპაკორია,
„ლელოს“ კორ.

ქართული ფეხბურთის პრობლემები

ქართული ფეხბურთის ავ-კარგზე ბევრი იწერება. პრესაში გამოქვეყნებულ წერილთა ავტორები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან, ყოველ მათგანს აღელვებს ქართული ფეხბურთის ბედი, კრიტიკულად აფასებს აწმყოს და იმედით შეჰყურებს მომავალს, ისინი გულწრფელად გვთავაზობენ თავიანთ მოსაზრებებს, რჩევას იმ იმედით, რომ იქნებ რომელიმე მათგანი გამოადგეს ჩვენს გასაჭირს. ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა, ბევრსაც ნაჩქარევი, ცხელ გულზე ნაფიქრალისა და ნათქვამის კვალი ატყვია. და ეს არცაა გასაკვირი, დღეს მართლაც ჭირს ყველაფრის დიხჯად, ობიექტურად გაანალიზება, დროა ასეთი!

რესპუბლიკის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვამ ჩვენი სულიერი ცხოვრების ბევრ სფეროში შეაღწია, სპორტიც ერის სულიერი ცხოვრების, კულტურის ნაწილია და ვერც ის ასცდებოდა სანუკვარი მიზნისკენ მიმავალ ბილიკს.

ალბათ, ამიტომაცაა, რომ ქართული ფეხბურთის აღორძინების მთავარ პირობად ბევრს ეროვნული საფეხბურთო ლიგის შექმნა ესახება. თავისთავად ცხადია, ამას უნდა მოყვეს საქართველოს გუნდების ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში (ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირები, კონტინენტის ჩემპიონატები) მონაწილეობა. ამ იდეას მომხრეც ბევრი ჰყავს და მოწინააღმდეგეც. ასეთია დღეს ქართულ პრესაში გამართული დისკუსიის მონაწილეთა ორი ბანაკის პოზიცია.

ამ ვითარებაში, როცა საქმე ეხება ქართული ფეხბურთის მომავალს, კრიზისისგან თავის დაღწევის გზების ძიებას, ფრიად საყურადღებო უნდა იყოს სპეციალისტთა სიტყვა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი დიდი უმრავლესობა მხოლოდ კერძო საუბრებში გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას და ერიდება პრესის ფურცლებზე გამართულ პოლემიკაში მონაწილეობას.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის სპეციალისტებმა ღრმად გააანალიზეს დღევანდელი კრიზისული მდგომარეობა, შეისწავლეს ყველაფერი, რაც კი პრესაში იბეჭდება, კრიტიკულად შეაფასეს სპეციალისტებთან კერძო საუბრებში გამოთქმული მოსაზრებები, გადაწყვიტეს ფართო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოიტანონ თავიანთი ნააზრევი.

მსოფლიოს სპორტულ მოძრაობაში საქართველოს დამოუკიდებლად მონაწილეობის მისწრაფება მისასალმებელია, იგი მთლიანად შეესაბამება რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებას. მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებების დამკვიდრების პროცესი საერთოდ და, კერძოდ, სპორტში — შეუქცევადია. ამ მხრივ რესპუბლიკაში უკვე მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის, რომ შეიქმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ახლა საჭიროა დრო და პირობები საიმისოდ, ჩვენი ხალხის კანონიერი უფლების სრულ რეალიზაციისათვს.

აქ არ შევუდგებით ცალკეული ქვეყნებისა და ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში ჩაბმის პოლიტიკური, ფინანსური, თუ სამართლებრივი ნორმების პირობების განხილვას, მხოლოდ იმას ავღნიშნავთ, რომ 1921 წლამდე საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა იმისთვის კი არ „გაერთიანდა“ კავშირის შემადგენლობაში, რომ თავისი უფლებები დაეკარგა, არამედ იმიტომ, რომ ამ სუვერენული უფლებების რეალიზების გარანტია ჰქონოდა. დარწმუნებული ვართ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები აუცილებლად მიგვიყვანს ისეთ პოლიტიკურ ცვლილებებამდე, რომლებიც დროთა განმავლობაში საქართველოს უზრუნველყოფს იმ იურიდიული და სამართლებრივი უფლებებით, რაც ასე აუცილებელია მსოფლიო სპორტულ ცხოვრებაში დამოუკიდებლად მონაწილეობისთვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ლიგის შექმნის იდეა მისაღები უნდა იყოს ყველა ჭეშმარიტი ქართველისთვის. შევეცდებით უფრო კონკრეტულად გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ.

ვფიქრობთ, ეროვნული საფეხბურთო ლიგის შექმნა იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ საქართველოს გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში. ალბათ, ყველასათვის ცხადია, რომ ამ უფლების მოსაპოვებლად მრავალი საკითხის მოგვარებაა საჭირო, რასაც საკმაო დრო დასჭირდება. ქართული ფეხბურთი მზად უნდა იყოს საერთაშორისო სარბიელზე არა მარტო მონაწილეობისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ საპატიო ადგილი დაიკავოს საუკეთესოთა შორის. ამ დიდი მიზნის მისაღწევად მარტო სურვილი არ კმარა, საჭიროა დღეს არსებულ პირობებში ყველა შესაძლებლობის მაქსიმალურად ვამოყენების გზით რეალური, მყარი საფუძვლის შექმნა.

ამასთან დაკავშირებით, დაწვრილებით უნდა შევეხოთ ჩვენთვის საინტერესო ორ საკითხს: როგორ ავამაღლოთ ქართული ფეხბურთის დონე, რომ საზღვარგარეთის სტადიონებზე სრულად წარმოჩინდეს მისი პოტენციური შესაძლებლობები და, მეორე, მასთან ურთიერთდაკავშირებული საკითხი — ვიყენებთ თუ არა ყველა შესაძლებლობას შიგასაკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობისას ქართული ფეხბურთის დონის ასამაღლებლად? ხომ არაა საჭირო უარის თქმა საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე და რესპუბლიკის ყველა ოსტატთა გუნდისთვის შიგა პირველობის ორგანიზაცია?

დავიწყოთ მეორე საკითხიდან. საქართველო II ლიგის საკავშირო შეჯიბრებებში წარმოდგენილია 8 გუნდით. რესპუბლიკაში არსებული საფეხბურთო რეზერვი კიდევ რამდენიმე გუნდის შექმნის შესაძლებლობას მოგვცემს. II ლიგაში მონაწილე გუნდებმა უნდა შექმნან ლიგის რესპუბლიკური ზონა. გარკვეულ პირობებში ეს ხელს შეუწყობს ქართველი ფეხბურთელების ოსტატობის ამაღლებას. პირველ და უმაღლეს ლიგაში მონაწილე საქართველოს გუნდების მდგომარეობა ბოლო წლებში არასტაბილურია. უმაღლეს ლიგაში ვერ მოხერხდა რესპუბლიკის მეორე გუნდის დამკვიდრება, ჩვენი პირველი გუნდიც თბილისის „დინამო“ მხოლოდ უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა. როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების უმრავლესობა ვერ ახერხებს თავისი პოტენციური შესაძლებლობების რეალიზებას, არადა საბჭოთა ფეხბურთის დონე დღეს ევროპაში საკმაოდ მაღალია და „ს ფაქტორი სრულად უნდა გამოიყენონ ჩვენმა გუნდებმა. საკავშირო ჩემპიონატის პირველ ხუთეულში მოხვედრა ხომ იძლევა ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის უფლებას და განა ამ ამოცანის გადაჭრა არ შეუძლია ქართულ ფეხბურთს?

შეიძლება ორი დასკვნის გამოტანა: პირველი — რესპუბლიკის გუნდები უნდა ისწრაფვოდნენ ევროპის და მსოფლიოს საუკეთესო გუნდებთან ხშირი შეხვედრებისკენ, ამისთვის კი პირველ ყოვლისა, აუცილებლად მიგვაჩნია საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის პირობების მაქსიმალურად გამოყენება, წინაღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გუნდების საერთაშორისო სარბიელზე გასვლა შეიძლება მხოლოდ ფორმალურ აქტად იქცეს.

მეორე — საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე უარის თქმა და ჩვენი ყველა გუნდის ეროვნულ საფეხბურთო ლიგაში გაერთიანებამ შეიძლება ხელი შეუწყოს სუსტი გუნდების თამაშის კლასის ამაღლებას, მაგრამ ამავე დროს აუცილებლად გამოიწვევს ძლიერთა ოსტატობის დაქვეითებას, ქართული ფეხბურთის დონის დაცემას.

ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის თანამშრომლები იზიარებენ რა ქართული ფეხბურთის საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლად გამოსვლის კონცეფციას, ამ ეტაპზე მხარს უჭერენ II ლიგის რესპუბლიკური ზონის შექმნის იდეას, ხოლო ჩვენი ფეხბურთის კლასის ამაღლებისათვის დღესდღეობით საჭიროდ მიიჩნევენ უმაღლესი და პირველი ლიგების საკავშირო შეჯიბრებებში რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობას.

რესპუბლიკაში ფეხბურთის ეფექტურად მართვის კარდინალური ღონისძიებების გატარებასთან ერთად უახლოესი 3-4 წლის მანძილზე უნდა მივაღწიოთ უმაღლეს ლიგაში საქართველოს გუნდების წარმომადგენლობის სამამდე გაზრდას. იმისათვის, რომ სისტემატიურად მიიღონ მონაწილეობა ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირებში, თბილისის „დინამომ“ და ლანჩხუთის „გურიამ“ უნდა იბრძოლონ საპრიზო ადგილებისთვის, პირველ ლიგაში მონაწილე საუკეთესო გუნდის ამოცანა უმაღლეს ლიგაში გადასვლა უნდა გახდეს, თუ ჩვენ 3-4 გუნდი მაინც გვეყოლება, რომელთა ოსტატობა, სულ ცოტა, ევროპული ფეხბურთის საშუალო დონისა იქნება, მაშინ შეიძლება დაისვას საქართველოს ჩემპიონატში რესპუბლიკის ყველა უძლიერესი გუნდის გაერთიანების საკითხი და შესაბამისად მათგან საუკეთესოების ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირებში, ხოლო ნაკრებისა კი ევროპისა და მსოფლიო პირველობებში მონაწილეობის შესახებ (თავისთავად იგულისხმება, რომ მანამდე რესპუბლიკა უნდა გახდეს უეფა-სა და ფიფა-ს წევრი).

საკავშირო პირველობაში მონაწილეობაზე ნაჩქარევად უარის თქმა და საკუთარის ორგანიზაცია, ე. ი. საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ცხოვრებიდან თვითიზოლაცია, დღეს ხელს ვერ შეუწყობს ქართული ფეხბურთის დონის ამაღლებას. ნაადრევმა და დაუსაბუთებელმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება არასასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს: სახელდობრ, ავამაღლებთ სუსტი და საშუალო გუნდების ოსტატობის დონეს, მაგრამ დაქვეითდება ლიდერების ოსტატობა, რომელთა მიხედვითაც ხდება დიდ სპორტში ამა თუ იმ ქვეყნის წარმატებათა შეფასება.

ამრიგად, აუცილებელი ხდება ოპტიმალური დროის დადგენა, როცა ამ საკითხის გადაწყვეტა არც ნაადრევი იქნება და არც დაგვიანებული. ამის განსაზღვრა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და ხარისხიანად გადავჭრით ჩვენი ფეხბურთის წინაშე მდგარ პრობლემებს.

„ლელოს“ მკითხველებმა კარგად იციან, რომ თბილისის „დინამომ“ ძლივს შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში, ხოლო რესპუბლიკის ოსტატ ფეხბურთელთა სხვა გუნდები კი დაბოლოს ტურნირის ბოლოს ადგილებზე აშკარად ჩამორჩებიან მას. ასეთ სიტუაციაში გვაქვს თუ არა უფლება, ვიოცნებოთ, რომ რესპუბლიკის ერთდროულად რამდენიმე გუნდს ექნება შესაძლებლობა მომავალში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს ევროპის ქვეყნების გუნდებს?

ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ქართული ფეხბურთის განვითარების შესაძლებლობები ამოწურული არაა, დღევანდელ სიტუაციაშიც კი გვაქვს უფლება მოვთხოვოთ რესპუბლიკის გუნდებს უფრო მაღალი შედეგებისათვის ბრძოლა.

ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს ქართული ფეხბურთის მდიდარი ტრადიციები გვაძლევს, ფეხბურთი ჩვენი ხალხის დიდი სიყვარულითაა გარემოსილი, შესანიშნავი კლიმატური პირობები სრული წლის განმავლობაში მეცადინეობის საშუალებას იძლევა, ქართული ფეხბურთი საკავშირო შეჯიბრებებში 13 გუნდითაა წარმოდგენილი, ეს კი საკმაოდ სოლიდური ციფრია, თუ ამას დავუმატებთ რესპუბლიკის პირველობის I ჯგუფში მონაწილე 20 და II ჯგუფის 51 გუნდს, ნათელი გახდება, რომ ჩვენში ფეხბურთის შემდგომი განვითარების მყარი საფუძველი არსებობს.

ჯერ კიდევ ომამდე, პირველად ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში წარმატებით დაიწყო მუშაობა ფეხბურთელთა სპორტულმა სკოლამ. ჩვენ დღემდის ერთადერთნი ვრჩებით, სადაც წარმატებით მუშაობს ჭაბუკ ფეხბურთელთა ექსპერიმენტული ზოგადსაგანმანათლებლო სპეციალიზებული სკოლა გახანგრძლივებული დღის სწავლებით. საქართველო მდიდარია ჭაბუკ ფეხბურთელთა სპეციალიზებული სკოლებით, მათი რაოდენობა ორი ათეულია.

ყველასათვის ცნობილია „ტყავის ბურთის“ კლუბის მასობრიობა და მისი წარმატებები, საკავშირო შეჯიბრებებზე, მაღალ შედეგებს აღწევენ ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები და სპორტული სკოლების გუნდები. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებში მუდამ ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული ფეხბურთი.

მაგრამ ვფიქრობთ საჭირო იქნება შევეხერდეთ იმ მიზეზებსა და პრობლემებზე, რომლებიც ამუხრუჭებენ დღემდის გატარებულ ღონისძიებათა ეფექტურობას.

ავთანდილ ჭაუსელი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის გამგე, დოცენტი, სპორტის ოსტატი.

(დასასრული იქნება).

პროფესიონალიზმის პრინციპებზე

მოსკოვში ამას წინათ გაიმართა საფეხბურთო პრესკონფერენცია, რომელზეც ჟურნალისტებს პასუხი გასცა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ვ. კოლოსკოვმა. მიმომხილველებს განსაკუთრებით აინტერესებდათ საბჭოთა ფეხბურთელების უცხოეთის პროფესიულ კლუბებში გადასვლის საკითხი, აგრეთვე, უშუალოდ საბჭოთა კავშირში კლუბიდან კლუბში მოთამაშეთა მიწვევისა და გადასვლის პრობლემები.

ვ. კოლოსკოვმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირში აქამდე არ არსებობდა კონკრეტული ორგანიზაცია, რომელიც უხელმძღვანელებდა საბჭოთა ფეხბურთელების უცხოეთში გამგზავრების საქმეს. ახლა ფეხბურთის ფედერაცია უშუალოდ წარმართავს ამ საქმიანობას, მაგრამ როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდებითაა დადგენილი, თვით ჩვენს საფეხბურთო კლუბებსაც აქვთ უფლება ამ საკითხზე დამოუკიდებლად მოელაპარაკონ უცხოეთის კლუბებს. შესაბამისი კრიტერიუმები გამომუშავდება და დადგინდება, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთის სასიკეთოდ.

საბჭოთა კავშირში არსებობდა საგანგებო ინსტრუქცია მაღალი კლასის ფეხბურთელთა გუნდიდან გუნდში გადასვლის თაობაზე, მაგრამ იგი იმდენად არაკონკრეტული და ბუნდოვანი იყო, რომ ფაქტიურად ყველა ჰოულობდა მისი გვერდის ავლის გზებს. არც ის იყო იშვიათი, როცა ფეხბურთელს ზედ შუა სეზონში აძლევდნენ სხვა კლუბში გადასვლის უფლებას და ფეხბურთელთა გადასვლა სწორედ არსებული ინსტრუქციის საწინააღმდეგოდ ხდებოდა. ახლა, როგორც ვ. კოლოსკოვმა განმარტა, ძველი ინსტრუქცია გაუქმდა, ამიერიდან ამ საკითხში ყველაფრის საზომი იქნება ფეხბურთელის კონტრაქტი კლუბთან. თუ კონტრაქტი ხელმოწერილი არაა, ფეხბურთელს არჩევანის სრული თავისუფლება აქვს, თუ კი კონტრაქტი ხელმოწერილია, საჭიროა ორმხრივი შეთანხმებანი.

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ აგრეთვე, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე კ. ბესკოვი და აღმასკომის წევრი ი. ნეტო. მათ აღნიშნეს შარშანდელ სეზონში საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრათა მსაჯობის დაბალი დონე და ისიც, რომ შესამჩნევად გაიზარდა მოლაპარაკებული მატჩების რაოდენობა.

საკავშირო ჩემპიონატის დებულებაში წერია, რომ პროტესტები მსაჯთა გადაწყვეტილებებზე არ მიიღება და თამაშების ხელახლა ჩატარება მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში შეიძლება (ამ წესით ხელმძღვანელობენ სხვა ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებიც). ფედერაციამ დებულების ეს წესი უცვლელი დატოვა, ვინაიდან ვიდეოჩანაწერით ზუსტად რომ განისაზღვროს მსაჯის შეცდომა „თამაშგარე მდგომარეობის“ ფიქსაციისას, საჭიროა სულ ცოტა... 24 ტელეკამერა.

კ. ბესკოვმა, თავის მხრივ, მხარი დაუჭირა გადათამაშებათა საჭიროებას იმ შემთხვევაში, როცა მსაჯის დანაშაული აშკარაა თამაშის შედეგის განსაზღვრისას. მან აღნიშნა, რომ 10-15 წლის წინ მოლაპარაკებული თამაშები ნაკლები იყო, მაგრამ ამგვარ მაქინაციებს გადაჭრით არ ებრძოდნენ, ამიტომაც ახლა ამ სავალალო მდგომარეობამდე მივედით.

ბ. გრანატკინის მემორიალზე

3. გრანატკინის ტრადიციულ საერთაშორისო საფეხბურთო მემორიალის ბოლო ტურის წინ სსრ კავშირის პირველი ნაკრები ფინეთის გუნდთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ (2:0), კვლავინდებურად ინარჩუნებდა ლიდერობას. წარმატებით ითამაშეს ჩინელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ანგარიშით 3:1 დაამარცხეს გდრ-ის ნაკრები. სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა, რომელიც ერთი წლით უმცროსი ასაკის ჭაბუკებითაა დაკომპლექტებული, ანგარიშით 1:3 წააგო გფრ-ის გუნდთან.

გუშინ გაიმართა ტურნირის დასკვნითი შეხვედრები.

საბჭოთა გუნდები უცხოეთში

ესპანეთი. აქ წინასასეზონო მზადებას გადიან დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელები, კერძოდ, ისინი ემზადებიან ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხეფინალური მატჩისთვის ლისაბონის „ბენფიკასთან“ (პორტუგალია). „დნეპრი“ მადრიდში შეხვდა ადგილობრივ „რეალს“, თამაში შედგა ესპანეთის დედაქალაქის ცნობილი „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა დნეპროპეტროვსკელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:1. „რეალის“ კარში ბურთები გვიტანეს სონმა და კუდრიცკიმ.

ავსტრალია. მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა წარმატებით დაიწყეს ტურნე ავსტრალიაში. პირველი მატჩი მათ 17 იანვარს ჰქონდათ ახალი სამხრეთ უელსის შტატის გუნდთან, რომელიც გაძლიერებული იყო ეროვნული ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელით. ტორპედოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. გოლები გაიტანეს შირინბეკოვმა და გიცელოვმა. მატჩის შემოსავალი გადაირიცხა ქ. კანბერაში მომხდარი მიწისძვრის მსხვერპლთა დახმარების ფონდში.

შესარჩევი ტურნირის წილისყრა

2 თებერვალს სტოკჰოლმში მოეწყობა 1992 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების წილისყრა. ჩემპიონატის ფინალური ტურნირი გაიმართება შვეიცარიაში, შვეიცის დედაქალაქში უკვე აკრედიტებული არიან კონტინენტის 19 ქვეყნის ჟურნალისტები. ჯერჯერობით 4 ქვეყანამ შეიძინა წილისყრის უშუალო სატელევიზიო გადაცემის უფლება.

ევროპის საუკეთესო ბომბარდირები

5 თებერვალს ქალაქ კიოლნში მოეწყობა საზეიმო ცერემონია, სადაც ფირმა „ადიდასის“ პრიზებს გადასცემენ ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირებს.

„ოქროს ბუცს“ მიიღებს რუმინელი ფორვარდი დორინ მატეუტი („სტიაუა“, ბუქარესტი), რომელმაც განვლილ სეზონში 43 ბურთი გაიტანა. „ვერცხლის ბუცს“ გადასცემენ ასევე რუმინელ ფეხბურთელს მარსელ კორასს „(ვიქტორია“, ბუქარესტი), რომლის ანგარიშზე 36 გატანილი გოლია. „ბრინჯაოს ბუცი“ ერგო ესპანელ ბალთაზარს („ატლეტიკო“, მადრიდი) — 35.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალათბურთში

მეორე საფეხურზე

გაიმართა უმაღლესი ლიგის ქალათბურთელ ვაჟთა მორიგი ტურის მატჩები.

პანევეჟისი. ვილნიუსის „სტატიბასთან“ პირველ მატჩში დამარცხების შემდეგ (1 ქულით) საფიქრებელი იყო, რომ თბილისის დინამოელები რევანშის აღებას შეეცდებოდნენ. თავდაპირველად ისინი შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ მეტოქეს და ტაიმი 6 ქულით წააგეს (35:41). მაგრამ შესვენების შემდეგ უფრო გამოიკვეთა „სტატიბას“ უპირატესობა და გაიმარჯვა — 74:69 (40:29).

მინსკი. როგორც ვიუწყებოდით, ადგილობრივი რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებმა პირველი შეხვედრა ლენინგრადის „სპარტაკთან“ დათმეს. განმეორებით მატჩში უპირატესობა მათ მხარეს იყო და გაიმარჯვეს კიდეც— 74:69 (40:29).

კიევი. ქვეყნის ჩემპიონი, ადგილობრივი „ბუდიველნიკი“ დღითიდღე იუმჯობესებს სატურნირო მდგომარეობას. აი ახლაც, მან ორი შეხვედრა გამართა დონეცკის „შახტიორთან“, ორივე მოიგო (96:83, 103:86) და სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზე დაიმკვიდრა ადგილი.

მოსკოვი. აქაური „დინამოსა“ და ტალინის „კალევის“ შეხვედრებში მეტოქეები „მშვიდად“ დასცილდნენ ერთმანეთს. პირველი ორთაბრძოლა „კალევმა“ მოიგო (99:96), მეორე — „დინამომ“ (106:88).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 იანვრისათვის

ცსკა	25	21	4	46
„ბუდიველ.“ (კ.)	26	17	9	43
ვეფ (რიგა)	26	15	11	41
„დინამო“ (მ.)	24	16	8	40
რტი (მინსკი)	28	12	16	40
„კალევი“ (ტალ.)	25	14	11	39
ასკ (ალმა-ათა)	22	15	7	37
„ყალინინ.“ (ყაზან.)	25	12	13	37
„სპარტ.“ (ლენ.)	27	10	17	37
„დინამო“ (თბ.)	25	9	16	34
„შახტიორი“ (დონ.)	24	7	17	31
„სტატიბა“ (ვილ.)	26	4	22	30

არგენტინელთა მორიგი მარცხი

1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი არგენტინის ნაკრები კვლავ წარუმატებლად თამაშობს თავისი წამყვანი ფეხბურთელების გარეშე. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მზადების პროგრამით არგენტინელებმა ლოს-ანჯელესში მარცხი იწვნიეს მექსიკის ნაკრებთან შეხვედრაში — 0:2 (0:1). გოლები გაიტანეს მუნიოსმა და ალვესმა.

შეგახსენებთ, რომ სულ ახლახან არგენტინის ნაკრებმა ასეთივე ანგარიშით წააგო საფრანგეთის „მონაკოსთან“, უფრო ადრე კი გვატემალის ნაკრებთან მხოლოდ ნულოვან ფრეს დასჯერდა.

ვეტერანთა ტურნირზე

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში მიმდინარეობს ვეტერან ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. მასპინძლებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს პოლონეთის გუნდი. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ზიკომ და ვლადიმირმა, პოლონელთაგან — შიმკევიჩმა.

ჰოლანდიისა და არგენტინის გუნდების საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ჰოლანდიელთა გამარჯვებით — 3:1. ჰოლანდიელთაგან ბურთები გაიტანეს რ. ვან დეო კერკჰოფმა და ჯ. რეპმა (2), ხოლო არგენტინელთა მხრივ — ბრინდიზიმ.

ფეხბურთის ახალი ამბები

ბელგიელთა მარცხი

ბელგიის ნაკრები, რომელიც 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება, ათენში დამარცხდა საბერძნეთის გუნდთან მატჩში — 0:2. ბურთები გაიტანეს ცალუხიდისმა და აპოსტოლაკისმა.

კოლუმბიის საუკეთესო ფეხბურთელი

კოლუმბიის ნაკრებისა და ქ. მედელინის „ნასიონალის“ მეკარე რენე იგუიტა დაასახელეს 1989 წლის საფეხბურთო სეზონის საუკეთესო მოთამაშედ. სპორტულმა ჟურნალისტებმა გაითვალისწინეს რ. იგუიტას ღვაწლი იმაში, რომ კოლუმბიამ შარშან მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება, ხოლო მედელინის „ნასიონალმა“ მოიგო ლათინური ამერიკის ქვეყნების საკლუბო ფეხბურთის უმაღლესი ჯილდო — „ლიბერტადორესის თასი“.

მწვრთნელი დაითხოვეს

არაბეთის გაერთიანებული საემიროების ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა დაითხოვოს ცნობილი ბრაზილიელი სპეციალისტი მარიო ზაგალო, თუმცა სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიპოვა არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრებმა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზური.

თავისი გადაწყვეტილება ფედერაციის ხელმძღვანელობამ იმით ახსნა, რომ მ. ზაგალომ დროულად არ წარადგინა ნაკრების სამზადისის გეგმა სპარსეთის ყურის ქვეყნების თასის გათამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

რუმინეთის „სტიაუა“ იბრძვის...

რუმინეთის ცნობილი კლუბი „სტიაუა“ (ბუქარესტი) საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში შეხვდა ამავე სახელწოდების ადგილობრივ კლუბს და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. მატჩის შემოსავალი გადაირიცხა რუმინეთში მომხდარი რევოლუციისას დაზარალებულთა ფონდში.

„სტიაუა“ საფრანგეთში კიდევ ერთ მატჩს გამართავს „ნიცასთან“.

ტელეტაიპი - მკითხველი



ლეგოსლავიის ქალაქ ლაიბახში დასასრულს უახლოვდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი „ია-ეე-90“, სადაც მონაწილეობს თბილისელი დიდოსტატი ნანა ალექსანდრია. 9 ტურის შემდეგ 6 ქულითა და ერთი გადადებული პარტიით ლიდერობს მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი სიუზი მაქსიმოვიჩი. 6 ქულა აქვს სვეტლანა მატვეევას, ნანა ალექსანდრიამ კი ჯერჯერობით 5,5 ქულა მოაგროვა.

ტალინი. აქ დაიწყო დაშნით მოფარიკავეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ამიერიდან მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი იქნება. სწორედ ამიტომ ესტონეთის დედაქალაქში საასპარეზოდ ჩავიდნენ უძლიერესი მოფარიკავეები, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორები. გუშინ, გვიან საღამოს გამოვლინდნენ გამარჯვებულნი პირად ჩათვლაში, დღეს კი გუნდური ასპარეზობა დამთავრდება.

ჰაააგა. გაიმართა ფრენბურთელ ქალთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა ადგილობრივ „ავერო სნეეკსა“ და სვერდლოვსკის „ურალოჩკას“ შორის. „მშრალი“ ანგარიშით (3:0) გაიმარჯვეს სტუმრებმა.

პარმა (იტალია). ფრენბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში (პირველი ჯგუფი) ადგილობრივმა „მაკსიკონმა“ დაამარცხა მოსკოვის „დინამო“ — 3:0.

ჰამბურგი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ჰელგა რადტკემ (გდრ) მოიგო სიგრძეზე ხტომა. მისი შედეგი 656 სმ. წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში (დარბაზებისთვის).

მოსკოვი. ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში ცსკა-მ კვლავ დამარცხება განიცადა. ამჯერად მას „კრილია სოვეტოვმა“ აჯობა — 3:1. ჩემპიონატის განახლების შემდეგ არმიელებმა ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგეს.

მსოფლიო ჩემპიონი ფოვეგს რინგს

როგორც აპ-ს სააგენტო იუწყება მსოფლიოს ჩემპიონი საშუალო წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის რეი ლეონარდი („შუგარი“) თავს ანებებს აქტიურ სპორტს. ეს მსოფლიოს მოკრივეთა საბჭოს აცნობა ლეონარდის ადვოკატმა მაიკ ტრეინერმა.

— კაცმა არ იცის რამდენ ხანს გაძლებს იგი უკრივოდ, თქვა ადვოკატმა, ლეონარდს ესმის, რომ მსოფლიოში ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა მოკრივეა და არ უნდა მათ წინსვლას ხელი შეუშალოს.

საინტერესოა, რომ რეი ლეონარდი ხუთ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ფლობდა მსოფლიო ჩემპიონის სახელს. 33 წლის მოკრივეს 36 შეხვედრა აქვს მოგებული პროფესიულ რინგზე, ერთი ფრედ დაამთავრა და ერთიც წააგო. შარშან, 7 აგვისტოს პან 12-რაუნდიან შეხვედრაში ძველ მეტოქეს პანამელ რობერტო დურანს აჯობა.

კორაჩის თასზე

როგორც ცნობილია, ევროპის კალათბურთელთა ამ პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში საბჭოთა კავშირის ორი გუნდი გამოდის — ცსკა და ალმა-ათის ასკ.

სარაევოში მოსკოვის არმიელებმა პირველი მეოთხედფინალური ჯგუფის მორიგი მატჩი გამართეს ადგილობრივ „ბოსნასთან“. მთელი ორმოცი წუთის მანძილზე უმნიშვნელო უპირატესობას საბჭოთა კალათბურთელები ფლობდნენ. შეხვედრის დამთავრებამდე 2 წამით ადრე ცსკა წინ იყო 3 ქულით — 80:77, მაგრამ... რადულოვიჩის ზუსტი სამქულიანი სროლის შედეგად ანგარიში გათანაბრდა.

დაინიშნა დამატებითი დრო, რომელმაც გამარჯვება იუგოსლავიელ კალათბურთელებს მოუტანა — 92:89. ცსკა-ს სამი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული.

ანალოგიურ დღეშია მეორე მეოთხედფინალურ ჯგუფში მოსპარეზე ალმა-ათის ასკ-ც. მესამე ტურში იგი ქალაქ ჰოლონში (ისრაელი) ადგილობრივ „ჰაპოელთან“ დამარცხდა — 106:109 (55:62). საბჭოთა გუნდში საუკეთესო სნაიპერები იყვნენ ტიხონენკო და ეუკანენკო, რომლებმაც გუნდს 31-31 ქულა შესძინეს. „ჰაპოელის“ უძლიერესი ბომბარდირის, ამერიკელი კინგის ანგარიშზეა 41 ქულა.

რედაქტორის მოადგილე

უ. ჯიჯინაძე

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

ავტოსპორტის ფრანგ მოყვარულთათვის 1989 წელი აღმოჩნდა ყველაზე ბედნიერი. ამ წელს მათმა თანამემამულეებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. 25 წლის ჟან ალესი უძლიერესი იყო „ფორმულა 3000“ კლასში, 39 წლის ჟან-ლუი შლესერი — „პროტოტიპებში“, 34 წლის ალენ პროსტი კი — „ფორმულა 1“ კლასში. ამჯერად მკითხველის ყურადღებას მასზე შევაჩერებთ.

ალენ პროსტი დაიბადა 1955 წლის 24 თებერვალს სენ-შამონში (საფრანგეთი). ცხოვრობს იენში (შვეიცარია). ჰყავს მეუღლე ან-მარი და რვა წლის ვაჟიშვილი ნიკოლა.

პროსტმა სპორტული კარიერა დაიწყო კარტინგით და, უკვე 17 წლისამ პირველ დიდ წარმატებას მიაღწია. იგი ევროპის ჩემპიონი გახდა. 1975 წელს მან იმარჯვა ნაციონალურ „ფორმულა ელფ-რიკარში“. 1976-1977 წლებში ალენ პროსტი გახდა საფრანგეთისა და ევროპის ჩემპიონი (6 მოგება) „ფორმულა რენოს“ კლასში. 1978-1979 წლებში მან მოიგო საფრანგეთისა და ევროპის ჩემპიონატი „ფორმულა 3“ კლასში.

1980 წელს შედგა ალენ პროსტის დებიუტი „ფორმულა 1“ კლასში (არგენტინა). „მაკლარენის“ ავტომობილით. მან ჩემპიონატში მე-15 ადგილი დაიკავა.

1981 წელს პროსტი „რენოს“ ღირსებას იცავდა. მოიგო სამი „გრან პრი“ (საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია) და პირად ჩათვლაში მეხუთე იყო.

ალენ პროსტი

1982 წელს პროსტმა („რენო“) მოიგო ორი ეტაპი (სამხრეთ აფრიკა, ბრაზილია) და ჩემპიონატში დაიკავა მეოთხე ადგილი.

1983 წელს ალენ პროსტი კვლავ „რენოს“ ღირსებას იცავდა. მან 4 „გრან პრი“ (საფრანგეთი, ბელგია, ინგლისი, ავსტრია) მოიგო და მოიპოვა ვიცე-ჩემპიონის ტიტული. ამ ხნის განმავლობაში მისი თანაგუნდელები იყვნენ ფრანგი რენე არნუ და ამერიკელი ედი ჩივერი.

1984-1985 წლებში ალენ პროსტი „მაკლარენ-პორშეს“ ღირსებას იცავდა ნიკი ლაუდასთან ერთად. ამ ორი წლის მანძილზე ფრანგმა პილოტმა მოიგო 12 „გრან პრი“ (ბრაზილია — 2-ჯერ, სან-მარინო, მონაკო— 2-ჯერ, გფრ, ჰოლანდია პორტუგალია, ევროპის „გრან პრი“, ინგლისი, ავსტრია, იტალია), გახდა ვიცე-ჩემპიონი და პირველად მოიპოვა მსოფლიოს უძლიერესი ავტომრბოლის სახელი.

1986 წელს „მაკლარენ-პორშეს“ ავტომობილით ალენ პროსტთან ერთად ასპარეზობდა ფინელი კეკე როსბერგი. ფრანგმა პილოტმა მოიგო 4 ეტაპი (სან-მარინო, მონაკო, ავსტრია, ავსტრალია) და ზედიზედ მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

1987 წელი. კვლავ „მაკლარენ-პორშე“. ალენ პროსტთან ერთად ასპარეზობდა შვედი სტეფან იოჰანსონი. ფრანგმა სპორტსმენმა მოიგო სამი „გრან პრი“ (ბრაზილია, ბელგია, პორტუგალია). პირველმა მოხსნა ჯეკი სტიუარტის რეკორდი, ჩემპიონატში კი მეოთხე ადგილი დაიკავა.

1988-1989 წლები. „მაკლარენ-ჰონდა“. ალენ პროსტი — აირტონ სენა. ეს იყო ფრანგი პილოტისთვის ყველაზე დაძაბული ორი სეზონი. ალენ პროსტმა მოიგო 11 „გრან პრი“ (ბრაზილია, მონაკო, მექსიკა, საფრანგეთი — 2-ჯერ, პორტუგალია, ესპანეთი, ავსტრალია, ინგლისი, იტალია, აშშ („ფენიქსი“). 1988 წელს პირველმა დააგროვა 100 ქულაზე მეტი (105), რითაც „გინესის“ რეკორდების წიგნში შევიდა და მესამედ გახდა ვიცე-ჩემპიონი. შარშან, როგორც იცით, ალენ პროსტმა მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

სულ ალენ პროსტი 153-ჯერ გამოვიდა სტარტზე, მოიგო 39 „გრან პრი“, მეორე ადგილი დაიკავა 27-ჯერ, მესამე — 14-ჯერ. დღემდე მიღებული აქვს 80 პრიზი, მოიგო 20 საკვალიფიკაციო და დაამყარა სხვადასხვა ტრასის 32 რეკორდი.

პროსტმა თითქმის ყველა ქვეყნის ავტოდრომზე იმარჯვა არგენტინის, კანადისა და უნგრეთის გარდა.

დავით ჩუბინიძე.

• • •

გუშინ გახდა ცნობილი, რომ მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი ავტორბოლაში ფრანგი ალენ პროსტი, რომელიც „მაკლარენის“ ღირსებას იცავდა წაეჩხუბა თანაგუნდელ აირტონ სენას (ბრაზილია) და სხვა გუნდში — „ფერარიში“ გადავიდა.

ამ დღეებში ფრანგმა ავტომობილისტმა საფრანგეთის ქალაქ ლეკასტელეში გამართულ წინასწარ შეჯიბრებაზე 3,8 კილომეტრი 1.03,94-ში დაფარა და ტრასის ახალი რეკორდი დაამყარა.

25 იანვარს მოწვეულია პროფკავშირების საქართველოს ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს IV პლენუმი. დღის წესრიგშია:

1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებთან დაკავშირებით პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური ორგანიზაციის საარჩევნო პლატფორმის დამტკიცების შესახებ.

2. საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენისაგან“ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა კანდიდატების წამოყენების შესახებ.

პლენუმი ჩატარდება რესპუბლიკური საბჭოს საარქო დარბაზში. (წერეთლის გამზირი 95ა). დასაწყისი 11 საათზე, რეგისტრაცია 10 საათიდან.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი ა. წ. 5 თებერვლიდან აგრძელებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა მომზადების ფასიან კურსებზე მეოთხე ნაკადის მსმენელთა ჩარიცხვას სპორტული მასაჟის სპეციალობით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ფაკულტეტის დეკანატში მიხამართით ჭავჭავაძის პროსპექტი 49ა. ტელ: 23-32-69.

ფაკულტეტის დეკანატი..

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „ნარეკვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზრდილი წიგნი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო ქორეულში: ხიშარიულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08709